საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იანიქ-თეფე

იანიქ-თეფე, მრავალფენიანი ნამოსახლარი გორა. მდებარეობს ურმიის ტბის აღმ. სანაპიროდან 30 კმ-ში, აღმ. აზერბაიჯანის პროვინციაში, სოფ. ტაზეჰ კანდის (ირანი) ახლოს. ნამოსახლარის ფართობი დაახლ. 81 ათ. მ², მაქს. სიმაღლე – 16,5 მ. 1958–59 ნამოსახლარი აღმოაჩინა ჩ. ბარნეიმ. არქეოლ. გათხრები ჩატარდა 1960, 1961, 1962.

ი.-თ. დასახლებული იყო ენეოლითისა და ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში. ამის შემდეგ იგი ხელახლა აითვისეს მხოლოდ ძვ. წ. I ათასწლეულში. ენეოლითური ფენა წარმოდგენილია ოთხკუთხა ალიზის ნაგებობებით. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია მოწითალო კერამიკა. ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში მკვიდრდება წრიული ნაგებობები და მუქი კერამიკა მისთვის დამახასიათებელი ნაკაწრი ორნამენტით. გ. დ. სამერსმა ჩ. ბარნეის დროინდელი გათხრების მონაცემების შესწავლის საფუძველზე წარმოადგინა საკუთარი შეხედულება ნამოსახლარის სტრატიფიკაციის შესახებ, რ-ის მიხედვით ადრინდ. ბრინჯაოს ხანაში ფიქსირდება 18 ფენა. ქვედა თოთხმეტისთვის დამახასიათებელია წრიული, ხოლო ზედა ოთხისთვის – ოთხკუთხა ნაგებობები.

მტკვარ-არაქსის კულტურა ირანში პირველად ტ. ბარტონ-ბრაუნის მიერ იქნა აღმოჩენილი 1948 ურმიის ტბის დას-ით მდებარე მრავალფენიან ნამოსახლარ გოითეფეზე წარმოებული არქეოლ. გათხრების დროს.

ჩ. ბარნეის მიერ ი.-თ-ზე წარმოებული არქეოლ. გათხრების შემდეგ, XX ს. 60–70-იან წლებში, ირანში მომუშავე სხვა მეცნიერების ყურადღება მტკვარ-არაქსის ფენომენზე გამახვილდა. ი.-თ-ს ადრინდ. ბრინჯაოს ხანის ფენების სტრატიგრაფიული თანმიმდევრობის შესწავლის საფუძველზე შემუშავებული ქრონოლოგია შემდგომში ამ

რეგიონის სხვა ძეგლებისთვისაც იქნა გამოყენებული.

ნამოსახლარი ი.-თ. ჰაფტავან თეფესთან, გოითეფესთან და ჰასანლუსთან ერთად წარმოადგენს იმ მნიშვნელოვან მრავალფენიან ძეგლს ჩრდ.-დას. ირანში, სადაც კავკასიური წარმომავლობის ადრინდ. ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურის სტრატიფიცირებული ფენები არის წარმოდგენილი.

ლიტ.:B u r n e y Ch. A., Excavations at Yanik Tepe, North-West Iran, «Iraq», vol. 23, №2, 1961; მ ი ს ი ვ ე, The Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1961: Second preliminary report, «Iraq» vol. 24, №2, 1962; მ ი ს ი ვ ე, The Excavations at Yanik Tepe, Azerbaijan, 1962: Third preliminary report, «Iraq», vol. 26, №1, 1964; S u m m e r s G. D., Yanik Tepe and the Early Trans-Caucasian Culture: Problems and Perspectives.– In: A. Sagona (ed.), A view from the Highlands. Archaeological studies in honour of Charles Burney (Herent), 2004; მ ი ს ი ვ ე, Yanik Tepe, Northwestern Iran. The Early Trans-Caucasian Period. Stratigraphy and Architecture, Ancient Near Eastern Studies. Supplement Series, 41. Peeters, 2013; მ ი ს ი ვ ე, The early TransCaucasian Culture in Iran: Perspective and Problems, «Paléorient», vol. 40, № 2; The Kura-Araxes culture from the Caucasus to Iran, Anatolia and the Levant. Between unity and diversity, 2014.

ლ. ქაბაშვილი